პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 26 ოქტომბერი, 1943 წ. № 223 (6848). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ მაღინოვსკის

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები, რომელთაც ფლანგიდან გადამწყვეტ დახმარებას უწევდნენ **უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარები არმიის გენერალ **კონევის** სარდლობით, წარმატებით განაგრძობდნენ შეტევითს მოქმედებას **დნეპრის** მარჯვენა ნაპირზე და დღეს, 25 ოქტომბერს, იერიშით აიღეს უკრაინის საოლქო ცენტრი ქალაქი **დნეპროპეტროვსკი** და ქალაქი **დნეპროძერჟინსკი** (**კამენსკოე**), ჩვენი ქვეყნის სამხრეთის ნაწილის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრები და გერმანელთა თავდაცვის დიდი კვანძები მდინარე **დნეპრის** მოსახვევში.

ქალაქების **დნეპროპეტროვსკისა** და **დნეპროძერჟინსკის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი ისახელეს გენერალ-მაიორ **გლაგოლევის**, გენერალ-მაიორ **კოსობუცკის**, გენერალ-მაიორ **ალფიოროვის** ჯარებმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **სუდეცის** მფრინავებმა, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ნედელინის** და არტილერიის გენერალ-მაიორ **ალექსეენკოს** არტილერისტებმა.

განსაკუთრებით ისახელეს თავი:

პოლკოვნიკ **კულიუსკის** 152-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ფესენის** 236-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **სუჩკოვის** ნოვო-მოსკოვსკის 195-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **კოლჩუკის** 353-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **ბრეჩანის** ორიოლის წითელდროშოვანმა მე-6 მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ბროვკოს** შორი მოქმედების გვარდიის მე-3 საავიაციო დივიზიამ, პოლკოვნიკ **ოსადჩის** გვარდიის მე-11 გამანადგურებელმა საავიაციო დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ **ლინნიკოვის** გვარდიის 58-ე ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, მაიორ **ბოროდკოს** 437-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **გალანდინის** მე-4 საპონტონო-სახიდო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **ნოვინსის** მე-5 საპონტონო-სახიდო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **კორეშოვის** მე-8 მექანიზებულმა საპონტონო-სახიდო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **მირონოვის** 518-ე საზარბაზნო საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ბოლუბაჩიკოვის** 1114-ე საზენიტო საარტილერიო პოლკმა, მაიორ **კოსტენკოს** გვარდიის 109-ე საზარბაზნო საარტილერიო პოლკმა, პოლკოვნიკ **ვიზიროვის** 51-ე საინჟინრო-სასანგრო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **შაადოვის** 52-ე ცალკეულმა სატანკო პოლკმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად იმ შენაერთებსა და ნაწილებს, რომელთაც თავი ისახელეს ქალაქების **დნეპროპეტროვსკისა** და **დნეპროძერჟინსკის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, მიენიჭოთ „**დნეპროპეტროვსკისა**“ და „**დნეპროძერჟინსკის**“ სახელწოდება.

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

დნეპროპეტროვსკის 152-ე მსროლელი დივიზია,
დნეპროპეტროვსკის 236-ე მსროლელი დივიზია;
დნეპროპეტროვსკის გვარდიის მე-3 შორი მოქმედების საავიაციო დივიზია;
დნეპროპეტროვსკის გვარდიის მე-11 გამანადგურებელი საავიაციო დივიზია;
დნეპროპეტროვსკის გვარდიის 58-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი;
დნეპროპეტროვსკის მე-4 საპონტონო-სახიდო ბრიგადა;
დნეპროპეტროვსკის მე-5 საპონტონო-სახიდო ბრიგადა;
დნეპროპეტროვსკის მე-8 მექანიზებული საპონტონო-სახიდო პოლკი;
დნეპროპეტროვსკის 518-ე საზარბაზნო საარტილერიო პოლკი;
დნეპროპეტროვსკის 1114-ე საზენიტო საარტილერიო პოლკი;
დნეპროძერჟინსკის 353-ე მსროლელი დივიზია;
დნეპროძერჟინსკის 437-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი;
დნეპროძერჟინსკის გვარდიის 109-ე საზარბაზნო საარტილერიო პოლკი;
დნეპროძერჟინსკის 51-ე საინჟინრო-სასანგრო ბრიგადა;
დნეპროძერჟინსკის 52-ე ცალკეული სატანკო პოლკი.

ნოვო-მოსკოვსკის 195-ე მსროლელი დივიზია და ორიოლის მე-6 წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია, რომელთაც მეორედ ისახელეს თავი გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში, წარდგენილ იქნან **წითელი დროშის** ორდენით დასაჯილდოებლად.

დღეს, 25 ოქტომბერს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომელთაც გაათავისუფლეს ქალაქები **დნეპროპეტროვსკი** და **დნეპროძერჟინსკი**,—ორასოცდაათი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარებს, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქების **დნეპროპეტროვსკისა** და **დნეპროძერჟინსკის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც ოიცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 25 ოქტომბერი.

ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ბ-ნი კორდელ ჰელი

25 ოქტომბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ბ-ნი კორდელ ჰელი.

საუბარს დაესწრო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ვ. ა. ჰარიმანი.

ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა ვ. ა. ჰარიმანმა რწმუნების სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. მ. ი. კალინინს

23 ოქტომბერს დღის 1 საათზე კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი ვ. ა. ჰარიმანი, რომელმაც თავისი რწმუნების სიგელები გადასცა.

ბ-ნ ვ. ა. ჰარიმანს ახლდნენ: საელჩოს მრჩეველი, სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი მ. ჰამილტონი, ა. შ. შტატების სამხედრო მისიის მეთაური გენერალ-მაიორი დ. დინი, სამხედრო მისიის წევრები ბრიგადის გენერალი ს. სპოლდინგი, ბრიგადის გენერალი ჯ. განდენბერგი, საელჩოს 1-ლი მდივნები ბ-ნი ვ. პერკინსი და ბ-ნი ბ. კოლდერი, საელჩოს მე-2 მდივნები ბ-ნი ლ. ტომპსონი და ბ-ნი ფ. სტევენსი, აგრეთვე ა. შ. შტატების საელჩოს და სამხედრო მისიის სხვა წევრები, რომლებიც ელჩმა წარუდგინა ამხ. მ. ი. კალინინს.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. გ. დეკანოზოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ა. ფ. გორკინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ამერიკული ქვეყნების განყოფილების გამგე ამხ. გ. ნ. ზარუბინი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. გ. ა. ფომინი.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ ამხ. მ. ი. კალინინს საუბარი ჰქონდა ბ-ნ ვ. ა. ჰარიმანთან.

მოსკოვში ინგლისისა და ამერიკის დელეგაციების ყოფნა

დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მთავრობების წარმომადგენლები, მოსკოვში წარმოებული თათბირის მონაწილენი, ა. წ. 24 ოქტომბერს დიდ თეატრში დაესწრნენ ბალეტს „გედების ტბას“.

ცენტრალურ ლოჟაში იყვნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ა. იდენი, დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. კერი, ა. შ. შტატების ელჩი ბ-ნი ა. ჰარიმანი თავის ქალიშვილიანად, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილენი ამხანაგები ა. ი. ვიშინსკი, ვ. გ. დეკანოზოვი, შ. მ. ლიტვინოვი, ა. ე. კორნეიჩუკი, ს. ი. ლავთრაძე, ინგლისისა და ამერიკის დელეგაციების წარმომადგენლები ბ-ნი ვ. სტრენგი, ბ-ნი ს. დენი, ბ-ნი გ. ჰეკორტი, გენერალ-ლეიტენანტი ბ-ნი ისმეი, გენერალ-მაიორი დ. დინი, კომოდორი კ. ოლსენი, აგრეთვე ინგლისისა და ამერიკის დელეგაციების ექსპერტები და თანამშრომლები და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

ლოჟა მორთული იყო ბრიტანეთის, ამერიკისა და საბჭოთა ალმებით.

თეატრში მყოფნი ამხ. ვ. მ. მოლოტოვსა და საბჭოთა მთავრობის სხვა წევრებს, ბ-ნ ა. იდენს, ბ-ნ ვ. ჰარიმანს, ბ-ნ ა. კერს და ინგლისისა და ამერიკის დელეგაციების სხვა წევრებს ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
25 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა ფლანგიდან **უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარების გადამწყვეტ დახმარებით 25 ოქტომბერს ბრძოლებით დაიკავეს უკრაინის საოლქო ცენტრი ქალაქი **დნეპროპეტროვსკი** და ქალაქი **დნეპროძერჟინსკი**, აგრეთვე დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **რომანკოვო**, **სემიონოვკა**, **ნოვოსელიცკოე**, **ილინკა**, **ტრიტუზნაია**, **ტარანსკოე**, **კარნაუხოვსკოე**, **სუხაჩოვკა**, **კრასნოპოლიე**, **ლოგ-კამენკა**, **კაიდაკი**, **ანტონოვკა**, **ზვონეცი**, **კალინოვკა**, **ვოკვინი** და რკინიგზის სადგურები **ვოსკოგონინა**, **ბაგლეი**, **სუხაჩოვკა**, **ვოიცეხოვო**.

ქალაქ **მელიტოპოლის** სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში **უკრაინის** მე-4 ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის გაფართოებას და დაიკავეს ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები **ნოვო-ნიკოლაევკა**, **ჩეხოგრადი**, **დარმშტადტი**, **დმიტროვკა**, **რადიონოვკა**.

კრივოი როგის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას, ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 5-დან 8 კილომეტრამდე და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **სტეპანოვკა**, **ნოვო-სვეტლოპოლი**, **იზმაილოვკა**, **პუსტელნიკოვი**, **გრუზკა**, **ინგულეცი**, **გლიევატკა**, **დუბოვა ბალკა**, **ტეპლოვკა**, **კაზიდუბი** და რკინიგზის სადგურები **კოროლიოვკა**, **ადამოვსკი**.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე გაძლიერებული ზვერვა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლა.

24 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ფრონტის ყველა უბანზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 105 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 49 თვითმფრინავი.

* * *

დღეს ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს უკრაინის საოლქო ცენტრი ქალაქი დნეპროპეტროვსკი. ამავე დროს დნეპრის მარჯვენა ნაპირზე დაკავებულია გერმანელთა თავდაცვის სხვა დიდი კვანძი ქალაქი დნეპროძერჟინსკი. მოწინააღმდეგე მრავალი თვის განმავლობაში ამაგრებდა დნეპროპეტროვსკს. დნეპრის დასავლეთ ნაპირზე აგებული იყო მრავალი ბეტონირებული ხანგრძლივი საცეცხლე წერტი და ძელმაწური საცეცხლე წერტი, გათხრილი იყო სრული პროფილის სანგრები. ქალაქს იცავდნენ გერმანელთა დიდი ძალები, რომელთაც მძლავრი სამხედრო ტექნიკა ჰქონდათ. 6 შენაერთის მებრძოლებმა დნეპრი გადალახეს, დასავლეთიდან შემოერტყნენ დნეპროპეტროვსკს და გააფთრებული ბრძოლების შემდეგ განდევნეს გერმანელები დასახლებული პუნქტებიდან სუხაჩოვკიდან, დიეკა 1-დან და დიეკა 2-დან. ამავე დროს ჩვენმა გვარდიის ნაწილებმა დნეპრი გადალახეს დნეპროპეტროვსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაიკავეს დასახლებული პუნქტები კაიდაკი, ლოგ-კამენკა, სამხრეთიდან შეუტიეს და სრული გარშემორტყმის საფრთხე შეუქმნეს ქალაქს. გერმანელებმა ვერ გაუძლეს საბჭოთა ჯარების კონცენტრირებულ დარტყმებს და მათი თავდაცვა დემორალიზებულ იქნა. დღეს ჩვენმა მებრძოლებმა იერიშით აიღეს ქალაქები დნეპროპეტროვსკი და დნეპროძერჟინსკი. ხელთ ვიგდებთ უდიდესი დავლა—ბევრი ქვემეხი, ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი, მოძრავი შემადგენლობა, საომარი მასალის, სურსათის, საინჟინრო და სხვა სამხედრო ქონების მრავალი საწყობი.

* * *

ქალაქ **მელიტოპოლის** სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გააფთრებული ბრძოლების შედეგად გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის მეორე ძლიერ გამაგრებული ზოლი, რომელიც აგებული იყო მელიტოპოლყორომის რკინიგზის გაყოლებით. საბჭოთა ნაწილებმა გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა და დიეკავეს დასაყრდენი პუნქტები ჩეხოგრადი, დარმშტადტი, დმიტროვკა და სხვები. ამ დასახლებული პუნქტებისათვის ბრძოლებში მოწინააღმდეგემ ოდიესი ზარალი ნახა. არასრული ცნობებით, გაყლეტილია 2.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 53 ტანკი, 8 თვითმავალი და 46 საველე ქვემეხი, 43 ნაღმსატყორცნი, 142 ტყვიამფრქვეევი, 120 ავტომანქანა და 2 საწყობი საომარი მასალა.. ტყვედ წამოყვანილია 160 კაცი. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს დიდი დავლა, მათ შორის 62 ვაგონი საჭურველი და საომარი მასალა, 25 ქვემეხი, ბევრი შაშხანა და ავტომატი.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 11 თვითმფრინავი. გარდა ამისა, გერმანელთა 7 თვითმფრინავი ოსპობილია მოწინააღმდეგის აეროდრომზე.

* * *

კრივოი როგის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. მოწინააღმდეგეს განუწყვეტლივ მოჰყავს ახალი ძალები და ცდილობს შეაჩეროს საბჭოთა ნაწილების წინსვლა. ერთ უბანზე გერმანელებმა რვა კონტრიერიში მოიტანეს, მაგრამ დიდი ზარალი გაწიეს და ჩვენი ჯარების დარტყმებით უწესრიგოდ დაიხიეს უკან. ბრძოლის ველზე დარჩა 22 დამწვარი ტანკი და მოწინააღმდეგის ჯარისკაცთა და ოფიცერთა ასობით გვამები. სხვა უბანზე საბჭოთა ტანკისტებმა გერმანელთა მოტოქვეითი ჯარის პოლკი გაანადგურეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია დავლა.

* * *

ბალტიის ზღვაში ფლოტის თვითმფრინავებმა ჩასძირეს მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 6.000 ტონა წყალწყვისა.

* * *

კამენეც-პოდოლსკის ოლქში მოქმედ უკრაინელ პარტიზანთა რაზმმა უკანასკნელი კვირის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო „გერმანელთა 4 სამხედრო ეშელონი. დამტვრეულია 3 ორთქლმავალი, 24 ვაგონი და პლატფორმა. მარცხის შედეგად მოკლულია 200-ზე მეტი ჰიტლერელი. პარტიზანებმა მთელ რიგ ადგილას ააფეთქეს რკინიგზის ლიანდაგები. ამ უბანზე მატარებლების მოძრაობა რამდენიმე დღე-ღამით შესწყდა. როვნოს ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმებმა ორ დღეში ლიანდაგიდან გადაგდეს მოწინააღმდეგის 7 სარკინიგზო ეშელონი.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 181-ე ქვეითი დივიზიის 334-ე პოლკის მე-2 ასეულის ჯარისკაცმა ანტონ ჰოიდერმა განაცხადა: „მე არმიაში გამიწვიეს მიმდინარე წლის გაზაფხულზე. სამხედრო სწავლებას გერმანიაში გავდიოდი. ივნისის დამლევს გამგზავნეს ნორვეგიაში ქალაქ ოსლოში და ჩამრიცხეს 334-ე პოლკის მეორე ასეულში. 22 სექტემბერს ჩვენი პოლკი გემში ჩასხეს და დანიაში გაგზავნეს. იქიდან მატარებლით მოვდიოდით შტეტინ—ვარშავა — ბრესტ-ლიტოვსკ—მინსკით და 6 ოქტომბერს გადმოვსხდით ორშაში. ჩვენს მატარებელში 60 ვაგონი იყო. თითო ვაგონში 40 კაცი იმყოფებოდა. 15 დღეში პოლკს ძალიან დიდი ზარალი მოუვიდა რუსების არტილერიის ცეცხლისგან. მე ბედნიერი ვარ, რომ ტყვედ მოვხვდი და ამით სიცოცხლე შევინარჩუნე“.

* * *

ორიოლის ოლქის სოფელ სუკრემლის მცხოვრებლებმა განაცხადეს: „გერმანელი არამზადები აბუჩად იგდებდნენ მოსახლეობას, ხოცავდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს, სპობდნენ მთელ ოჯახებს. ფაშისტმა ბანდიტებმა ჩამოახრჩვეს კოლმეურნეები კორმილინი და მისი ორი ვაჟი, ტიმოხინი და ანი სამი ვაჟი და ბევრი სხვა. მარტო ერთ დღეს — 1942 წლის 10 ივლისს გერმანელებმა 115 სრულიად უდანაშაულო მშვიდობიანი მცხოვრები დახვრიტეს. ჰიტლერელი მკვლელები ძალით ერეკებოდნენ მთელ მოსახლეობას ციმის საცქერად, თუ როგორ სტანჯავდნენ დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეებს. მცხოვრებთა თვალის წინ ჯალათები სტანჯავდნენ და აწამებდნენ მოუდანზე ქალებს ჩიკინას, კონდრატოვას და ბოგნარიოვას. ჯერ მტარვალებმა ამ ქალების თვალწინ მათი შვილები დახვრიტეს, შემდეგ კი თვითონ ისინიც ჩამოახრჩვეს. სოფლის ყველა მცხოვრები, ვინც კი ცოცხალი გადარჩა, წყევლა-კრულვით იგონებს ფაშისტ სისხლისმსმელებს“.

ჩვენი ავიაციის თავდასხმები რკინიგზის კვანძ ზნამენკასა და საღგურ ნიკოპოლზე

24 ოქტომბერს ღამით ჩვენმა ავიაციამ ცალკე დაბომბა გერმანელთა თავმოყრილი სამხედრო ეშელონები რკინიგზის კვანძ ზნამენკასა და სადგურ ნიკოპოლზე. დაკვირვებით შემჩნეულია აფეთქებანი და ხანძრები რკინიგზის ლიანდაგებზე მოწინააღმდეგის სამხედრო ტვირთით ვაგონებსა და პლატფორმებს შორის.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის აეროდრომებზე დაბრუნდა.

ხელმოწერა ფულისა და ნივთების მესამე ლატარიაზე

25 ოქტომბერს დაიწყო ფულისა და ნივთების მესამე ლატარიის ბილეთების გავრცელება ჩვენი ქვეყნის საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში.

ფაბრიკა „პარიზსკაია კომუნაში“, ტელმანის სახელობის, ბაბაევის სახელობის ფაბრიკაში, ფრუნზეს სახელობის ქიმიურ ქარხანაში და დედაქალაქის სხვა საწარმოებში ბევრმა მუშამ და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკმა ხელი მოაწერა ლატარიის ბილეთებს 20-ზე მეტი პროცენტის რაოდენობით და ნაღდი ფული შეიტანა.

წარმატებით დაიწყო ბილეთების რეალიზაცია ომსკის ოლქში. ტავრიჩესკოეს რაიონში ხელმოწერამ დღის პირველ ნახევარში 2 მილიონ მანეთს მიაღწია. მთელი თანხა ნაღდ ფულად იქნა გადახდილი. სოროკინოს რაიონში ჩერნოშევსკის რაიონში 110-მა კოლმეურნემ 150.000 მანეთის ლატარიის ბილეთებზე მოაწერა ხელი და ეს თანხა ნაღდ ფულად შეიტანა.

ნოვოსიბირსკში ხელმოწერა დღის 12 საათამდე 4.891 ათას მანეთს შეადგენდა, აქედან ნაღდ ფულად შეტანილია 651 ათასი მანეთი.

სვერდლოვსკში პირველსავე საათებში მუშებმა და მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს 14.400 ათას მანეთზე.

ხაბაროვსკში 18 საათისათვის ხელმოწერამ 6.440 ათას მანეთს მიაღწია, რაც გეგმის 157 პროცენტს შეადგენს. ამურის კომსომოლსკში ხელმოწერამ დღის ბოლოსათვის 6.155 ათას მანეთს მიაღწია.

ამურის ოლქის კუიბიშევის რაიონის არტელ „გეროი ტრუდას“ კოლმეურნეებმა ერთი საათის განმავლობაში 41 ათას მანეთზე მოაწერეს ხელი. არტელის თავმჯდომარე ოვჩარენკომ 5 ათასი მანეთის ბილეთები შეიძინა, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა კოვშიმა— 4 ათასი მანეთისა.

არხანგელსკში ქარხანა „კრასნაია კუზნიცას“ კოლექტივმა სალამას 5 საათისათვის დამამთავრა ხელმოწერა. ქარხანაში არც ერთი კაცი არ არის, რომ ლატარიის ბილეთები არ შეეძინა. ხელმოწერა ხელფასის თვიური ფონდის 23 პროცენტს შეადგენს.

წარმატებით მიმდინარეობს ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების რეალიზაცია ირკუტსკის ოლქის კოლმეურნეობებში. ალარსკის აიმაკის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ანგარსტროის“ წევრებმა 80 ათასი მანეთის ბილეთები შეიძინეს და მათი ღირებულება ნაღდ ფულად გადაიხადეს.

დონის როსტოვში დღის პირველ ნახევარში ხელმოწერამ ერთ მილიონ მანეთს გადააჭარბა. (საკდესი).

ფულისა და ნივთების მესამე ლატარიის ბილეთები წარმატებით ვრცელდება

საქართველოს მშრომელები პატრიოტული ერთსულოვნებით შეხვდნენ ფულისა და ნივთების მესამე ლატარიის ბილეთების გამოშვებას. ლატარიის ბილეთებზე ხელის მოწერა დიდი წარმატებით დაიწყო. მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა ლატარიის ბილეთებზე ხელს აწერს ხელფასის 18-20 პროცენტის რაოდენობით.

საქართველოს სსრ შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს ცნობით, 25 ოქტომბრის ღამის 11 საათისათვის თბილისში ლატარიის ბილეთები გავრცელებული იყო 6.729.000 მან. რაოდენობით. აქედან ბერიას რაიონში — 1.547 ათასი მან., სტალინის რაიონში — 1.225 ათასი მან., 26 კომისრის რაიონში — 1.063 ათასი მან, ლენინის რაიონში — 902 ათასი მან,. კიროვის რაიონში — 757 ათასი მან., ორჯონიკიძის რაიონში — 652 ათასი მან., მოლოტოვის რაიონში — 583 ათასი მან.

საქართველოს რაიონების კოლმეურნეებს ლატარიის ბილეთებზე ხელისმოწერის თანხა უმთავრესად ნაღდ ფულად შეაქვთ. ქ. ქუთაისში 25 ოქტომბრისათვის გავრცელებული იყო 880 ათასი მანეთის ბილეთები, ბოლნისის რაიონში 780 ათასი მან., აქედან ნაღდად შეტანილია 600 ათასი მან., თეთრი წყაროს რაიონში 1.237 ათასი მანეთიდან ნაღდად შეტანილია 1.200 ათასი მან., სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში ხელმოწერილი 2.120 ათასი მანეთიდან ნაღდად დაფარულია 1.184 ათასი მან., ქუთაისის რაიონში—2.080 ათასი მან., ბორჩალოს რაიონში — 1.205 ათასი მანეთიდან 1.123 ათასი მან. საჩხერეში ხელი მოწერილია 2.057 ათასი მან. ბილეთებზე და მთელი თანხა ნაღდად არის დაფარული, სიღნაღში გავრცელებულია 1.590 ათასი მან. ბილეთები, აქედან ნაღდად შეტანილია 1.180 ათასი მან., კასპის რაიონში — 1.248 ათასი მან., ნაღდად შეტანილია 1.238 ათასი მან. წალენჯიხაში — 1.091 ათასი მან. თბილისის რაიონში — 1.006 ათასი მან. და თითქმის მთელი თანხა ნაღდად არის დაფარული, გორის რაიონში გავრცელებულია 1.500 ათასი მან. აქედან ნაღდად დაფარულია 500 ათასი მან. ვანის რაიონში — 822 ათასი მან. და მთლიანად ნაღდად არის დაფარული, მცხეთაში — 730 ათასი მან., აქედან ნაღდად შეტანილია 729 ათასი მან. ქარელის რაიონში — 500 ათასი მან.

25 ოქტომბრის ღამის 11 საათისათვის რესპუბლიკაში, საქართველოს სსრ შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოში 40 რაიონიდან, 2 ავტონომიური რესპუბლიკიდან და 1 ავტონომიური ოლქიდან შემოსული ცნობებით გავრცელებულია 45.560.000 მანეთის ლატარიის ბილეთები, აქედან სოფლად — 32.509 ათასი მან., ქალაქად, მუშა-მოსამსახურეთა მიერ, 13.051 ათასი მან. ნაღდად შეტანილია 28.190 ათასი მან.

მთელი ძალით გავაჩაღოთ შეჯიბრება ქვანახშირის მრეწველობაში!

ქვანახშირი მრეწველობის პურია. იგი სათბობით ჰკვებავს სამხედრო მრეწველობის, მეტალურგიის, ელექტროსადგურების, რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოებს, რომლებიც მოწოდებული არიან მაქსიმალური ნაყოფიერებით იმუშაონ სამამულო ომის ვითარებაში და რაც შეიძლება მეტი პროდუქცია დაამზადონ ფრონტისათვის, სოციალისტური სამშობლოსათვის. მეშახტეთა საპატიო ამოცანას წარმოადგენს დღითიდღე გაადიდონ ქვანახშირის ამოღება, მთლიანად უზრუნველჰყონ ქვანახშირზე ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. პარტიისა და მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვას მეშახტეებმა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებით უნდა უპასუხონ.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად გარკვეული წარმატებები მოიპოვეს. წინასაოქტომბრო შეჯიბრებამ თვალსაჩინოდ დააწინაურა ტყიბულისა და ტყვარჩელის მაღაროები, შახტები, მთელი რიგი მეშახტეები. განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს სემიოვოლოსური მოძრაობა ქვანახშირის მრეწველობაში.

ტყიბულელმა ბიძინა თოდიძემ პირველმა სცადა სემიოვოლოსური მეთოდის გამოყენება და პირველ დღესვე გეგმა 630 პროცენტით შეასრულა. მას მიჰბაძა ს. ლანჩავამ, რომელმაც 6-7 სანგრევში დაიწყო მუშაობა. სემიოვოლოსელებმა მცირე როლი როდი შეასრულეს იმ საწარმოო გამარჯვებაში, რომელიც ტყიბულქვანახშირის ტრესტმა აგვისტოში მოიპოვა. გეგმის გადამეტებით ამოღებულ იქნა 1.174 ტონა ქვანახშირი. ეს თვალსაჩინო გამარჯვება იყო. ტყვარჩელელებთან შეჯიბრებაში ტყიბულელებმა შესძლეს მესამე კვარტალში 30-40 პროცენტით გაეზარდათ შრომის ნაყოფიერება მეორე კვარტალთან შედარებით.

მაგრამ აგვისტოს თვის წარმატებები შემდეგ ვერ იქნა განმტკიცებული და გამრავლებული. მესამე კვარტალის გეგმა ვერ შესრულდა. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზები იმაში მდგომარეობდა, რომ ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს შრომის ორგანიზაციაში. ლენინისა და სტალინის სახელობის შახტების ხელმძღვანელები საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ სემიოვოლოსური მოძრაობის ფართოდ გაშლას. ამასწინათ ტყიბულის სტახანოველთა შეკრებაზე ტყუილად კი არ განაცხადეს სტახანოველებმა ი. ილიუშინმა, ბ. თოდიძემ, ნ. კრასნოგოლოვეცმა, ს. ლაფერაძემ და სხვებმა, რომ სათანადო დახმარების პირობებში ისინი შესძლებენ 5-6 ნორმა შეასრულონ დღეში და გაადიდონ ქვანახშირის ამოღება.

ქვანახშირის მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკთა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველმხრივ გააუმჯობესონ შრომის ორგანიზაცია, ყოველდღიური დახმარება-ხელმძღვანელობა გაუწიონ სემიოვოლოსელებს, წაახალისონ და დაიანტერესონ დანარჩენი მეშახტეები მიჰბაძონ სემიოვოლოსელებს, მიაღწიონ ახალ საწარმოო გამარჯვებებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავისა და ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXV წლისთავის აღსანიშნავად.

მთელი ძალით უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება ქვანახშირის მრეწველობაში, რათა შემდგომ გავადიდოთ ქვანახშირის ამოღება, ვადაზე მეტადასრულოთ წლიური გეგმები, მტრის წინააღმდეგ ზითელი არმიის გმირულ დარტყმებს უპასუხოთ ქვანახშირის ასაღებ-ასალ ემელონებით.

ამ კეთილშობილური იდეით არის შთაგონებული „მოსკოვუგოლის“ კომბინატის სტახანოველ მეშახტეთა პატრიოტული თაოსნობა — მათი მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა მეშახტისადმი. „მოსკოვუგოლის“ მეშახტენი სავსებით სწორად ლაპარაკობენ ქვანახშირის უდიდეს მნიშვნელობაზე მტრის განადგურების საქმეში. მართლაც, თუ სათბობი არ იქნება, ვერ იმუშავებენ სამხედრო ქარხნები, არც ელექტროენერგია იქნება, არც ლითონი, და, მაშასადამე, არც საჭურველი და საომარი მასალა ფრონტისათვის. ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება გავადიდოთ ქვანახშირის ამოღება. მისი გამოზიდვა და დანიშნული მიმართულებით გაგზავნა ასეთივე საპასუხისმგებლო და სერიოზული საქმეა.

„მოსკოვუგოლის“ მეშახტეთა მიმართვას ფართოდ უნდა გამოეხმაურონ ტყი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

24 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

24 ოქტომბრის განმავლობაში ქალაქ მელიტოპოლის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მტრის თავდაცვის გარღვევის გაფართოებას და დაიკავეს ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები სემიონოვკა, გუტერტალი, იოსანერსრუდ და რკინიგზის სადგური ტაშჩენაკი.

კრივოი როგის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას, ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 6-დან 10 კილომეტრამდე და დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბაშტინა, ტერნოვატკა, ნედავოდა, ლოზოვატკა (10 კილომეტრზე ქალაქ კრივოი როგის ჩრდილოეთით), ვასილიევი ტერნი, საინკა, გურკოვკა, ალფეროვო, ვარვაროვკა, ბოგდანოვკა, და რკინიგზის სადგურები საპრო, რიაბოვაია, ტერნი, კალაჩევსკოე.

რეჩიცის სამხრეთით ჩვენი ჯარები, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ ბრძოლას პლაცდარმის გასაფართოებლად დნეპრის მარჯვენა ნაპირზე და დაიკავეს ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები დუბროვკა, ჩანეცი, ტუჩკი, ოსტროვი, ტროსტინეცი, კრასნი როგი, სეკი.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე გაძლიერებული ზვერვა და საართილერიო-სანალმტყორცნო სროლაა.

23 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 148 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 46 თვითმფრინავი.

* * *

მელიტოპოლის რაიონში ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს მტრის თავდაცვა, განაგრძობდნენ წინსვლას და დაიკავეს რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. მთელ რიგ უბნებზე საბჭოთა ნაწილები გავიდნენ მელიტოპოლ-ზაპოროჟიეს რკინიგზის ხაზზე. გაფართოებული ბრძოლა გაჩაღდა ერთი დასახლებული პუნქტის მისადგომებზე. გერმანელებმა აქ თავი მოუყარეს დიდ ძალებს და ცდილობდნენ რადაც უნდა დასჯდომოდათ შეენარჩუნებინათ ეს დასაყრდენი პუნქტი. საბჭოთა არტილერისტებმა, ტანკისტებმა და ქვეითებმა გაანადგურეს მტერი და დაიკავეს დასახლებული პუნქტი. ბრძოლების მსვლელობაში დღეს სხვადასხვა უბანზე მოსპობილია 2.000-მდე ჰიტლერელი, დამწვარი და დაზიანებულია 66 ტანკი, 24 თვითმავალი ქვემეხი, 85 საველე ქვემეხი, 44 ნაღმსატყორცნი და 150-ზე მეტი ტყვიამფრქვევი. ხელთ ვიგდეთ დავლა, რომელშიც არის 5 ტანკი, 28 ქვემეხი, 93 ტყვიამფრქვევი, საომარი მასალის ორი საწყობი და ნივთების საწყობი. ტყვედ წამოყვანილია 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩვენი ავიაცია კვლავ ურტყამდა გერმანელთა ჯარებს, საბრძოლო მოქმედების შედეგად საბჭოთა მფრინავებმა მოსპეს მტრის მრავალი ტანკი, დაამსხვრიეს 200-მდე ავტომანქანა, მოსპეს და დაზიანეს 3 ორთქლმავალი და 40-ზე მეტი სარკინიგზო ვაგონი და ცისტერნი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 14 თვითმფრინავი.

* * *

კრივოი როგის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. მტრის ყველა ცდას—შეეჩერებინა შემტევი სატანკო და ქვეითი ნაწილები, წარმატება არ მოჰყოლია. ჩვენი ჯარები წინ მიიწევდნენ და დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ლოზოვატკა, რომელიც 10 კილომეტრზე მდებარეობს ქალაქ კრივოი როგის ჩრდილოეთით. მტერს უდიდესი ზარალი მოსდის. ერთ უბანზე ჩვენმა ტანკისტებმა გაანადგურეს გერმანელთა ქვეითი ჯარის პოლკი, ცეცხლი წაუკიდეს და დაზიანეს მტრის 39 ტანკი, ხელთ ვიგდეთ 44 ქვემეხი და საომარი მასალისა და სანივთო ქონების დიდი საწყობები. სხვა უბანზე 6 ნაწილის მებრძოლებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტი და ხელთ იგდეს გერმანელთა რამდენიმე საართილერიო ბატარია, 8 ტანკი და აღალი სამხედრო ქონებიანად. წამოყვანილია ტყვეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში დღის განმავლობაში ჩამოაგდეს გერმანელთა 24 თვითმფრინავი.

* * *

რეჩიცის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლას პლაცდარმის გასაფართოებლად დნეპრის მარჯვენა ნაპირზე და დაიკავეს მთელი რიგი ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები. მტერი გაფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევს. ერთ უბანზე გერმანელებმა დღის განმავლობაში ოცზე მეტი კონტრიერიშები მოიტანეს. მტრის ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა, რომელთაც ავიაციის მნიშვნელოვანი ძალები ეხმარებოდნენ, არაერთგზის შემოუტიეს ჩვენს საბრძოლო წყებებს, მაგრამ ყოველთვის ოფიციალურ ზარალი მოსდიოდათ და უკან იხევდნენ. ამ ბრძოლებში მტერმა მარტო მოკლულთა სახით დაკარგა სულ ოთხი 1.500 ჯარისკაცი და ოფიცერი. მოსპობილია 14 ტანკი, 12 ქვემეხი და 25 ნაღმსატყორცნი. ხელთ ვიგდეთ დავლა, რომელშიც არის 11 ქვემეხი და ერთი სავსებით ვარგისი ტანკი. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ბალტიის ზღვაში ჩაძირულია მტრის ტრანსპორტი 3.000 ტონა წყალწყვილა.

* * *

ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ამ დღეებში მოაწყო გაბედული თავდასხმა რკინიგზის დიდ სადგურზე. სათადარიგო ლიანდაგზე იდგა ორი ეშელონი გერმანელ ჯარისკაცებით. პარტიზანებმა უხმაუროდ მოხსნეს გუშაგები, გარშემოერტყნენ ორივე მატარებელს და სროლა აუტეხეს ჰიტლერელებს. გერმანელები, რომლებსაც წოუმზადებელს მიუსწრეს, მეტწილად მოსპობილ იქნენ. ტყვედ წამოყვანილია შტაბის შვიდი გერმანელი ოფიცერი. საბჭოთა პატრიოტებმა აფეთქეს ორი ორთქლმავალი, ცეცხლი წაუკიდეს ვაგონებს და მტრის სამ სამხედრო საწყობს. დაზიანებულია რკინიგზის ხიდი, დანგრეულია ისრები და რკინიგზის ლიანდაგი. ამავე რაიონში პარტიზანებმა გაათავისუფლეს ათასზე მეტი მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე, რომელთაც გერმანელები გერმანიის კატორღაში მიერეკებოდნენ.

* * *

კიევის ჩრდილოეთით ტყვედ დაგვნებდა გერმანელთა 339-ე ქვეითი დივიზიის ჯარისკაცთა და ოფიცერთა დიდი ჯგუფი. 692-ე პოლკის მე-12 ასეულის ტყვე მეთაურმა ობერ-ლეიტენანტმა ჰელმუტ კელნერმა განაცხადა: „ლიუდინოვოს რაიონში მძიმე თავდაცვითს ბრძოლებში დივიზიამ დაჰკარგა პირადი შემადგენლობის ნახევარზე მეტი და თითქმის მთელი საჭურველი. მალე ჩვენ სასწრაფოდ გაგვგზავნეს კიევს, ხოლო იქიდან ფრონტის ახალ უბანზე. სარდლობამ ამოცანად დაგვისახა—დნეპრს გაღმა გაგვერეკნა რუსები, მაგრამ ყველა ჩვენი კონტრიერიში მარცხით დამთავრდა. შემდეგ ოგვივიდა ბრძანება—რადაც უნდა დაჯდეს დაკავებული პოზიციები შეინარჩუნეთო. ჩვენ ვერც ეს ბრძანება შევასრულეთ. მესამე ბატალიონი გარემოციაში მოხვდა და სავსებით გაიჟლიტა. დივიზია უკუგდებულ და დამარცხებულ იქნა. ჯარისკაცთა და ოფიცერთა ნაწილი ტყვედ დანებდა“.

692-ე პოლკის მე-10 ასეულის ტყვე მეთაურმა კაპიტანმა გერმან ვინდეკალდმა განაცხადა: „პოლკს უდიდესი ზარალი მოუვიდა. ჩემი ჯარისკაცები საშინლად დაიტანჯნენ. ოთხი კვირის განმავლობაში ჩვენ ერთხელაც არ გაგვიხდია ტანთ და არ დაგვიბანია. ჩემს ასეულში 8 ჯარისკაცი დარჩა. მე გადავწყვიტე იარაღი დამეყარა და ცოცხლად გადარჩენილ ჯარისკაცებთან ერთად ტყვედ დავვნებდი“.

სარეზერვო ბატალიონის მე-3 ასეულის ტყვე მეთაურმა ლეიტენანტმა ვილი ვერენბერგმა განაცხადა: „სამი დღის ბრძოლებში ჩემი ასეული განადგურებულ იქნა. ასეულში სულ 13 კაცი ღა დარჩა. მე ჯარისკაცებს ვუთხარი: „რუსები გამანადგურებელ ცეცხლს გვიშენენ, წინააღმდეგობის გაწევა უსარგებლოა, უნდა დავნებდეთ“. ჯარისკაცები უკლებლივ გამომყვნენ და ტყვედ დავნებდით“.

* * *

ჩერნიგოვის ოლქის სოფელ ოზერიანის მცხოვრებლებმა გვიამბეს გერმანელ ფაშისტ არამზადათა საშინელი მხეცობის შესახებ: „ოკუპაციის განმავლობაში ჰიტლერელებმა ბოლოცურად აწამეს ასობით მშვიდობიანი მცხოვრები. 1943 წლის 19 მარტს გერმანელმა ურჯოუკებმა დასწვეს 93 მეურნეობა ეზოს ყველა ნაგებობიანად. ცეცხლში დაიღუპა 267 მცხოვრები, რომლებიც გერმანელებმა სახლებიდან არ გამოუშვეს. ცეცხლში დაიწვნენ სოფლის მასწავლებელი პეტრე გოლჩენკო, კოლმეურნეები ელისე ზუბი, პეტრე როიკო, ბევრი ქალი და ბავშვი. ივლისში ჰიტლერელმა ჯალათებმა დაანატიმრეს ახალგაზრდა ქალიშვილი ნატალია კონონენკო მარტო იმისათვის, რომ მან გვიამბეინი მოსწრა და მოკლული პარტიზანის საფლავს დაადო. გერმანელმა ბარბაროსებმა მხეცურად აწამეს კონონენკო. ნაწამებმა ქალიშვილმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და შესძახა: „გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს! სალამი პარტიზანებს!“ სისხლისაგან დაცლილი საბჭოთა პატრიოტი ქალი გერმანელმა ჯალათებმა ჭაში ჩაგდეს“.

ჩვენმა ავიაციამ დაბომბა რკინიგზის კვანძები ზნამენკა და ფასტოვი და სადგური ნიკოპოლი

23 ოქტომბერს ღამით ჩვენმა ავიაციამ კვლავ დაბომბა გერმანელთა სამხედრო ეშელონები რკინიგზის კვანძებზე ზნამენკასა და ფასტოვში და სადგურ ნიკოპოლში. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით აფეთქებულია ორი ეშელონი საომარ მასალიანად. გაჩნდა ხანძრები, რომლებსაც თან სდევდა ძლიერი აფეთქებანი.

ერთი ჩვენი თვითმფრინავი საბრძოლო დავალებიდან არ დაბრუნებულა.

დიპლომატია

ანკარაში არსებულ საბჭოთა მისიაში მოხდა გასინჯვა ფილმისა „ის იცავს სამშობლოს“

ანკარა, 25 ოქტომბერი (საკდესი). ანკარაში, სსრ კავშირის საელჩოში მოხდა გასინჯვა საბჭოთა ფილმისა „ის იცავს სამშობლოს“. გასინჯვას დაესწრო თურქეთის პრემიერ-მინისტრი სარაჯოღლუ, საგარეო საქმეთა მინისტრი ნუმან მენემენჯი ოღლუ და თურქეთის მთავრობის სხვა წევრები, მოკავშირე მეგობრული ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები, მეჯლისის დეპუტატები, საზოგადო მოღვაწენი, მწერლები და ჟურნალისტები. ფილმმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე და მქუხარე ტაში გამოიწვია. ბევრნაირ დამსწრემ აღნიშნა ფილმის ღრმა რეალიზმი და ფაშისტ ბარბაროსთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის სწორი ასახვა.

გერმანელთა ოგიეიქვეების დაბომბვა ეგეოსის ზღვის რაიონში

ლონდონი, 24 ოქტომბერი (საკდესი). როგორც მოკავშირეთა ახლო აღმოსავლეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბი იუწყება, წუხელ ბომბდამშენებმა, რომლებიც ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალთა შემადგენლობაში შედიან, იერიში მიიტანეს ჰერაკლიონში არსებულ აეროდრომზე (კუნძული კრეტა). 22 ოქტომბერს ღამით ბომბდამშენთა ჯგუფი თავს დაესხა კუნძულ სკიროსის ნავსადგურს. ბომბები პირდაპირ მოხვდა საწყობებს.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 25 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ მოკავშირეთა ავიაცია თავს დაესხა დოკსა და მტრის გემებს შერბურში (ჩრდილოეთ საფრანგეთი).

ავიაციის სხვა შენაერთებმა იერიში მიიტანეს აეროდრომებზე ჰოლანდიაში და საიერიშო თავდასხმები მოახდინეს საფრანგეთში.

ჩრდილოეთ აფრიკაში მოქმედი მოკავშირეთა მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ სამხრეთ ავსტრიას.

კასელზე, ფრანკფურტზე, ჰაგენსა და ბოხუმზე ინგლისის ავიაციის თავდასხმათა შედეგი

ლონდონი, 25 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ კასელზე, ფრანკფურტზე, ჰაგენსა და ბოხუმზე ინგლისის ავიაციის თავდასხმათა შედეგად, რაც 19 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე განვლილი დროის მანძილზე მოხდა, დანგრეული და დაზიანებულია გერმანიის 100-ზე მეტი სამრეწველო საწარმო.

ფრანკფურტში პირდაპირი მოხვედრების შედეგად დანგრეულია მდინარე მაინის რაბი და ბევრი შენობა სანაპიროზე და ნავსადგურში.

ახალი მასობრივი დაპატიმრება საფრანგეთში

ლონდონი, 25 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ვიშის პოლიციამ ახალი კამპანია დაიწყო მთელ საფრანგეთში „მტრული ელემენტების“ (ესე იგი ფრანგი პატრიოტების) წინააღმდეგ. მასობრივი პოლიციური ჩხრეკა ხდებოდა საფრანგეთის ყველა რაიონში. უკვე დაპატიმრებულია 400-ზე მეტი კაცი.

ვიშის რადიოს განცხადებით, დაპატიმრებულთა შორის არის საბოტაჟისა და დივერსიული აქტების მომწყობი მრავალი პირი. დიეონში აღმოჩენილია იარაღის ფარული საწყობები.

უკმაყოფილების ზრდა გერმანიაში

სტოკჰოლმი, 24 ოქტომბერი (საკდესი). შვედურმა გაზეთმა „დაგენს ნიუხეტერმა“ გამოაქვეყნა გერმანიიდან ამ ცოტა ხნის წინათ ჩამოსული ერთი პირის ნაამბობი იმ განწყობილების შესახებ, რომელიც ჰამბურგისა და ბერლინის მოსახლეობაში სუფევს. „ჰამბურგში,—ამბობს ეს პირი,—მოსახლეობის განწყობილება უაღრესად ნერვიულია. ქუჩებში ზშირად გაიგონებთ დავას პოლიტიკურ თემებზე. მოსახლეობა აშკარად გამოსთქვამს თავის უკმაყოფილებას. მისი სიძულვილი მიმართულია ბერლინში მოკალათებულ მბრძანებელთა წინააღმდეგ, რომლებსაც სურთ, რადაც უნდა დაჯდეს, განაგრძონ ომი, რომელიც, მოსახლეობის აზრით, უკვე უმიზნოა. ბერლინშიც ასეთივე განწყობილებაა. ხალხი არ მალავს თავის პესიმიზმს, რომელიც გამოწვეულია ომის მსვლელობითა და პოლიტიკური მდგომარეობით“.

მზადება ბრაზილიის საექსპედიციო კორპუსის გასაგზავნად

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ უკვე დაიწყო ბრაზილიის საექსპედიციო კორპუსის ჯარისკაცთა სამედიცინო გასინჯვა. როგორც იუწყებიან, მომავალი წლის იანვარ-თებერვალში ბრაზილიიდან გაიგზავნება 60-ათასიანი რეგულარული და 40-ათასიანი დამხმარე არმია.

უცხოეთის ქრონიკა

ინგლისში წარმოებაშია ახალი ტიპის დღის ავიაგამანადგურებელი „მუსტანგი“, რომლის მოტორს მეტად მაღალი საბრძოლო თვისებები აქვს. თვითმფრინავს დიდი ჭერი აქვს. მისი სიჩქარე ბვრად აღემატება საათში 640 კილომეტრს. „მუსტანგი“ მძლავრი იარაღით არის აღჭურვილი.

* * *

ბუქარესტის სამხედრო სარდლობამ ბრძანება გამოსცა, რომ მოსახლეობამ დაუყოვნებლივ ჩაბარეს მთელი იარაღი, საჭურველი და საომარი მასალა, რაც კი მას მოეპოვება. ამ განკარგულების შეუსრულებლობისათვის ჰიტლერელები სიკვდილით დასჯით იმუქრებიან.

* * *

ინგლისში აღებულია ერთი მილიონი ტონით იმაზე მეტი მარცვლეული და 0,25 მილიონი ტონით იმაზე მეტი კარტოფილი, რაც აღებული იყო მოსავლიანობის მხრივ სარეკორდო სეზონში უკანასკნელი წლების მანძილზე. ამ რაოდენობის სურსათის შესაზიდად საჭირო იქნებოდა ვემები, რომელთა ტონაჟი საკმარისია იმისათვის, რომ ოკეანეთ გადატანილ იქნას 8-10 დივიზიის საჭურველი და მოკაზმულობა.

* * *

საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტმა გამოუშვა „საფრანგეთის წინააღმდეგობის ნაციონალური სესხი“. სესხით შემოსული თანხები გამოყენებულ იქნება იმისათვის, რომ იარაღით უზრუნველყონ წინააღმდეგობის პატრიოტული ორგანიზაციები საფრანგეთში.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში განზრახულია აგვრ 3 მილიონი, 45.000 ტონა წყალწყვილა თითო, რომლებიც უდიდესი იქნება მსოფლიოში.

* * *

ნიჭარში (ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთი) ძლიერი მიწისძვრა მოხდა. დანგრეულია მთელი რიგი შენობები (საკდესი).

პიონერთა პარადი თბილისში

24 ოქტომბერს თბილისის პიონერები წითელ დროშებით, ალისფერი ყელსახვევებით და სამკერდე ნიშნებით მწყობრი ნაბიჯით გაემართნენ ბერიას მოედნისაკენ. ნორჩი პატრიოტების პარადი მიძღვნილი იყო სახელოვანი ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXV წლისთავისადმი.

დილის 11 საათია. მოედანს ყვავილების ოკეანედ ერტყმიან პიონერთა მწკრივები. ტრიბუნაზე არიან ამხანაგები: ე. ჩერქეზია, გ. გოჩაშვილი, კ. ნაჭყებია, ა. კვაჭაძე, ბ. ცქიტიშვილი, ბ. ლელინი, მ. ბალავაძე, გ. კიკნაძე, გ. იმნაიშვილი, ნ. ქვანია და სხვები.

პარადს იღებს საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ა. შენგელია. გაისმის შეძახილი: პიონერებო! ლენინ-სტალინის საქმისადმი საბრძოლველად იყავით მზად! და ნორჩ პატრიოტთა ერთსულოვანი პასუხი: მზად ვართ! ამხ. შენგელია ათვალიერებს მოედანსა და ახლომახლო ქუჩებზე გამწკრივებულ პიონერთა რიგებს, რის შემდეგ იგი საქ ალკკ ცენტრალური და თბილისის კომიტეტების სახელით მიესალმება პარადის მონაწილეებს.

ჰქუხს ორკესტრი. ცერემონიალური მარშის ხმებში მწყობრად, მტკიცედ მოაბიჯებენ ბავშვები, პარადს იწყებენ ლენინის რაიონის პიონერები. მათი პირველი კოლონის წინ დროშების ტყეა აღმართული, ტრიბუნიდან ლოზუნგების ძახილს ბავშვთა მხიარული „ვაშა“ ჰფარავს. ლენინის რაიონის სტალინის რაიონის პიონერები მოჰყვებიან. მოედანზე ყვავილების თაიგულებით შემოდიან ორჯონიკიძის რაიონის პიონერები. მხიარული შეძახილებით მიესალმებიან ტრიბუნაზე მდგომ ამხანაგებს და ყვავილებს მიმოფანტავენ. მუსიკის გრიალში ჩაივლიან თბილისის დანარჩენი რაიონების პიონერები. 26 კომისრის რაიონის პიონერთა მოწინავე კოლონას მოაქვს უზარმაზარი პლაკატი, რომელზეც გამოხატულია საბჭოთა დიდა მკერდში ჩაკრული შვილით. იგი მოეწოდებს წითელ არმიის მებრძოლებს შური იძიონ საზიზღარ გერმანელ ფაშისტებზე საბჭოთა ადამიანების ცრემლებისა და სისხლისათვის. შემდეგ კოლონას მოაქვს მაღალტარიან დროშებზე გაკრული ლოზუნგი: „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს“.

საათნახევარს გრძელდებოდა თბილისის პიონერთა პარადი, რომელშიც რამდენიმე ათასი პიონერი მონაწილეობდა.

მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი

(დაარსებიდან 45 წლისთავის გამო)

მ. გორკის სახელობის მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი წარმოიშვა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში (1898 წ.) კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს, რომლებმაც დააარსეს მოსკოვის სამხატვრო თეატრი, კარგად ჭქონდათ მეთვალყურეობა რუსული თეატრის საუკეთესო ტრადიციები, მაგრამ ამავე დროს ისინი იცნობდნენ იმ წინააღმდეგობებსა და მანკს, რაც მეშინდელ ხელოვნებას მძიმე ლოდად აწვა. ამიტომ ახალ თეატრს მათ საფუძვლად დაუდეს სავსებით ახალი პრინციპები. მათ შეექმნეს ხელმისაწვდომი თეატრი, რომელიც მიზნად ისახავდა ფართო მაყურებლისათვის ეჩვენებინა კლასიკური და თანამედროვე დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები, რადგან თეატრი ფართო დემოკრატიულ წრეებთან კავშირის გარეშე ვერ იარსებებდა.

სამხატვრო თეატრი გრძნობდა, რომ ახალი იდეებით უნდა იყოს გამსჭვალული მთელი თეატრი, რომელიც „ტანსაცმლის დასაკიდიდან იწყება“. თეატრში ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს სპექტაკლის მხატვრულ წარმატებას. სამხატვრო თეატრმა პირველმა უარჰყო მსახიობისათვის ყვავილების და ფასიანი სარეკლამოების საჯაროდ მირთმევა, აკრძალა მუსიკა ანტრაქტებში, მოქმედების დროს დარბაზში შესვლა და მსახიობის გამოსვლა აპლოდისმენტებზე თავის დასაკრავად.

სამხატვრო თეატრმა ორიენტაცია აიღო ახალგაზრდა, ჯერ კიდევ დაუშტამპავ ესახიობებზე. მან მიიღო ნიჭიერი, ელასტიური აქტიორული მასალა, რომელიც ადვილად შეეთვისა ახალი თეატრის პრინციპები. სამხატვრო თეატრმა პირველმა წარმოშვა რეჟისორი, როგორც სპექტაკლის იდეურ-მხატვრული ხელმძღვანელი, რომელიც იცავს სპექტაკლის მსოფლმხედველობის და სტილის ერთიანობას. სამხატვრო თეატრმა გაადიდა რეპეტიციების რიცხვი (წინათ პრემიერა იდგმებოდა 5 რეპეტიციით) და ფარჩავა ე. წ. მეორე როლების ძველი გაგება. სამხატვრო თეატრი მოითხოვდა და მოითხოვს აქტიორისაგან ყოველი როლის, მთავარი იქნება იგი, ეპიზოდური თუ უსიტყვო, სრულქმნილ შესრულებას. სამხატვრო თეატრმა შეჰქმნა ისეთი ტრადიცია, როცა ყოველი მსახიობი, განურჩევლად მისი მდგომარეობისა თეატრში, გამოდის ყოველგვარ როლში და მასობრივ სცენებში, რაკი ამას სპექტაკლის წარმატების ინტერესი მოითხოვს.

ყველა ამ პრინციპის გატარებით კ. სტანისლავსკიმ და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ შეექმნეს ისეთი მთლიანი მჟიდროდ შეკავშირებული მხატვრული კოლექტივი, რომელსაც შეეძლია იმსახუროს მისი ეპოქის იდეების სცენაზე განსახიერებას.

მოსკოვის სამხატვრო თეატრი დემოკრატიული ინტელიგენციის თეატრი იყო. თავისი არსებობის პირველ წლებში, როგორც ეროვნული სანამძღვარი, ასევე ... სამხატვრო თეატრი წარმოსახავდა სულ ... ...